სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა (რეგულირებადი)

პროგრამის სახელწოდება	სამართალი/LAW
სწავლების ენა	ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	სამართლის მაგისტრი/Master of Law
პროგრამის ხელმძღვანელი	დიმიტრი გეგენავა, სამართლის დოქტორი, პროფესორი
პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი	27.12.2013 № 12-13
პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი	11.02.2024 №01-24
პროგრამის მოცულობა კრედიტებით	სამაგისტრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECTS კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა 2 წელს ანუ 4 სემესტრს შეადგენს. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

პროგრამის მიზანი
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- თანამედროვე სამართლის სისტემური და შედარებითსამართლებრივი არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი;
- გამოუმუშავოს სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.

სწავლის შედეგები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და რთული შემთხვევების კომპლექსურ შეფასებას, ფორმულირებას და თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების სისტემის არგუმენტაციის ჭრილში, განმარტების კლასიკური და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზებს;
(B) აანალიზებს ეროვნულ, საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნოვაციებს, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი სამართლის პრობლემატიკას, ევროპული სამართლის სისტემურ გავლენას ქართულ სამართალზე, ასევე მეცნიერულ სიახლეებს და თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;
(C) მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით;
(D) ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივ კვლევის მეთოდებს, შეიმუშავებს სამეცნიერო-კვლევით პროექტს;
(E) აანალიზებს იურიდიული პროფესიების ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებით ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის ფარგლებში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით.

ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი.

B 2 დონის შესაბამისი სერთიფიკატების და ქულების ნუსხა	
ტოიფელი (TOEFL PBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 513 ქულა
ტოიფელი (TOEFL IBT)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 65 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS)	ქულათა ოდენობა: არანაკლებ 5,5 ქულა
ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam)	ცოდნის დონე: არანაკლებ FCE

სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☐ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☒ სხვა

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შეძენილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:	
(A) ფრიადი	შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი	მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი	მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი	მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი	მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:	
(FX) ვერ ჩააბარა	მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა	მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

დასაქმების სფერო

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამართლის მიმართულების სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი სასწავლო უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები;
- იმიტირებული სასამართლო დარბაზი;
- კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა;
- კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები;
- სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

შენობა-ნაგებობანი - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს სასწავლო უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

ბიბლიოთეკა - სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის

თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და ეროვნული და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (საკანონმდებლო მაცნე, EBSCO, HeinOnline). სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები - სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს სამართლის სამაგისტრო საგანმანათ-ლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტებისთვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისთვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათლებო პროგრამების განხორციელებასთან და სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული და სხვ. ინფორმაცია, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია სასწავლო კომპონენტი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **სასწავლო კომპონენტი** წარმოდგენილია სავალდებულო სასწავლო კურსების (A), თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების (B), თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების (C), თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებისა (D) და პრაქტიკული კომპონენტის (E) სახით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის **სამეცნიერო-კვლევითი** კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის სახით.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს არჩევითი სასწავლო კურსების ნაცვლად შეიძლება ეღიაროს სხვა სასწავლო კურსები, რომლებიც ათვისებული აქვს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, თითოეულ მოდულში პროგრამით გათვალისწინებული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობის დაცვის გარეშე. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების აღიარებისას.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები (120 ECTS)	
სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი (72 ECTS)	
(A)	**სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 ECTS**

სავალდებულო სასწავლო კურსებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 30 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს რთული შემთხვევების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში, შედარებითი სამართლის, აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების, უფლების დაცვის მიზნით საპროცესო დოკუმენტების შედგენისა და დასაბუთების ტექნიკის სწავლებას. აღნიშნული სასწავლო კურსები ორიენტირებულია წერითი და ზეპირი სამართლებრივი უნარების განვითარებაზე, რთული შემთხვევების კვალიფიკაციის ტექნიკის შესწავლზე, აგრეთვე საკუთარი ორიგინალური აზრის მკაფიოდ ჩამოყალიბების, მისი არგუმენტირებული გადმოცემის (წერილობით თუ ზეპირად), ინფორმაციის მოპოვებისა და ანალიზის, ლიტერატურაზე მუშაობის, წერის დაგეგმვის, აგრეთვე კვლევითი ნაშრომის შესრულების უნარის გამომუშავებაზე.	
(B)	**თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები - 42 ECTS**
თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საჯარო სამართლის სფეროში. საჯარო სამართლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 24 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის ან/და თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.	
(C)	**თანამედროვე კერძო სამართლის მოდული - 42 ECTS**
თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო სამართლის სფეროში. კერძო სამართლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 24 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი კი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის ან/და თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.	
(D)	**თანამედროვე სისხლის სამართლის მოდული - 42 ECTS**
თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით მოახდინოს სწავლების კონცენტრირება და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა სისხლის სამართლის სფეროში. სისხლის სამარტლის მიმართულების სტუდენტმა თანამედროვე სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსებიდან უნდა დააგროვოს მინიმუმ 24 კრედიტი, დანარჩენი 18 კრედიტი კი სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს თანამედროვე საჯარო სამართლის მოდულის ან/და თანამედროვე კერძო სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.	
(E)	**სამართლის მეთოდები**
სამართლის მეთოდების მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს საკუთარის სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით კონცენტრირდებს სამართლის ინტერდისციპლინურ სფეროებზე და შეიძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ამ მიმართულებით. სამართლის მეთოდების მიმართულება აერთიანებს მხოლოდ არჩევით სასწავლო დისციპლინებს. სამართლის მეთოდების მიმართულებიდან საგნის გავლის შემთხვევაში მიღებული კრედიტები სტუდენტს ეთვლება საკუთარი დარგობრივი მიმართულებით დაგროვებულ კრედიტებში.	

(F)	პრაქტიკული კომპონენტი - 18 ECTS

პრაქტიკული კომპონენტი მოიცავს პროფესიული ეთიკის სასწალო კურსს (6 ECTS) და იურიდიულ/აღსრულების სამართლის/ადამიანის უფლებების სამართლის/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკულ/ შრომის სამართლის პრაქტიკულ კლინიკებს (12 ECTS).

იურიდიული კლინიკა შეიძლება განხორციელდეს სასამართლო ორგანოებში, იურიდიულ (საადვოკატო) ბიუროებში, საჯარო დაწესებულებებში, აგრეთვე იურიდიული პროფილის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციებში და მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პრაქტიკაზე დაფუძნებული იურიდიული განათლების მიცემას.

სპეციალობით მომუშავე სტუდენტმა იურიდიული კლინიკის ნაცვლად 12 კრედიტი შეიძლება დააგროვოს აღსრულების სამართლის ან ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკის ან სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკის ან შრომის სამართლის პრაქტიკული კლინიკის ხარჯზე.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (30 ECTS)

(G)	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა - 30 ECTS

სტუდენტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს სტუდენტის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას სტუდენტიმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტმა უნდა შეასრულოს სამართლის იმ მიმართულებით, რომლიდანაც არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე დაგროვილი აქვს მინიმუმ 30 კრედიტი.

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა
(მოდულები, საგნები შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	დაშვების წინაპირობა	მოდული/საგანი	ECTS კრედიტი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
			I წელი		II წელი			
			სემესტრი					
			I	II	III	IV	საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი სათები
სასწავლო კომპონენტი								
სავალდებულო სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში	6/150				38	112

2.	არ გააჩნია	შედარებითი სამართალი	6/150				31	119
3.	არ გააჩნია	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები		12/300			54	246
4.	არ გააჩნია	უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმები		6/150			34	116
მოდული – თანამედროვე კერძო სამართალი								
არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	ევროკავშირის კონკურენციის სამართალი			6/150		43	107
2.	არ გააჩნია	სამოქალაქო საპროცესო სამართალი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	6/150				43	107
3.	არ გააჩნია	საბანკო სამართალი: საბანკო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა		6/150			48	102
4.	არ გააჩნია	სადაზღვევო სამართალი: სადაზღვევო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა		6/150			43	107
5.	არ გააჩნია	ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი	6/150				44	106
6.	არ გააჩნია	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართალი			3/75		24	51
7.	არ გააჩნია	კონკურენციის სამართალი			6/150		43	107
8.	არ გააჩნია	მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის სამართალი			6/150		43	107
9.	არ გააჩნია	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	6/150				43	107
10.	არ გააჩნია	მტკიცების პროცესი სამოქალაქო სამართალში	6/150				43	107
11.	არ გააჩნია	ევროკავშირის კერძო სამართალი		6/150			43	107
12.	არ გააჩნია	კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სამართალი			6/150		30	120
13.	არ გააჩნია	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი			6/150		43	107
14.	არ გააჩნია	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი			6/150		43	107
15.	არ გააჩნია	პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა		6/150			39	111
16.	არ გააჩნია	საერთაშორისო კონკურენციის სამართალი (ინგლისურ ენაზე)			6/150		48	102
17.	არ გააჩნია	სამართლებრივი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)			6/150		43	107
18.	არ გააჩნია	შედარებითი საკორპორაციო სამართალი	6/150				38	112
19.	არ გააჩნია	რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების სამართალი	6/150		6/150		43	107
20.	არ გააჩნია	შედარებითი შრომის სამართალი	6/150		6/150		43	107
21	არ გააჩნია	კაპიტალური საზოგადოებები: სამართლებრივ დოკუმენტთა წარმოება და სასამართლო პრაქტიკა		6/150			38	112
22.	არ გააჩნია	სპორტის სამართალი		6/150			30	120

23.	არ გააჩნია	მედიცინის სამართალი		6/150			38	112
მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი								
არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	მოძღვრება დანაშაულზე	6/150				43	107
2.	არ გააჩნია	დანაშაული და მედია	6/150				38	112
3.	არ გააჩნია	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი			6/150		43	107
4.	არ გააჩნია	სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია			6/150		43	107
5.	არ გააჩნია	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	6/150				38	112
6.	არ გააჩნია	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება		6/150			48	102
7.	არ გააჩნია	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი		6/150			48	102
8.	არ გააჩნია	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები		6/150			43	107
9.	არ გააჩნია	დაცვის ხელოვნება		6/150			43	107
10.	არ გააჩნია	მტკიცებითი სამართალი			6/150		43	107
11.	არ გააჩნია	ადამიანის ძირითადი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით		6/150			45	105
12.	არ გააჩნია	სასჯელის შეფარდება		6/150			43	107
13.	არ გააჩნია	კიბერდანაშაულის კვალიფიკაციისა და გამოძიების სპეციფიკა			6/150		43	107
14.	არ გააჩნია	შედარებითი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება		6/150			43	107
15.	არ გააჩნია	საგამოძიებო სამართალი			6/150		43	107
16.	არ გააჩნია	სქესობრივი დანაშაული		6/150			36	114
17.	არ გააჩნია	კრიმინალიზაციის პროცესი და აღდგენითი მართლმსაჯულება			6/150		43	107
18	არ გააჩნია	ფინანსური დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა			6/150		39	111
მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი			**24**	**18**	**6**			
არჩევითი სასწავლო კურსები								
1.	არ გააჩნია	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	6/150				43	107
2.	არ გააჩნია	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	6/150				43	107
3.	არ გააჩნია	ჯანმრთელობის დაცვის სამართალი	6/150				48	102

4.	არ გააჩნია	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკიკის ანალიზი	6/150				38	112
5.	არ გააჩნია	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი		6/150			48	102
6.	არ გააჩნია	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო		6/150			43	107
7.	არ გააჩნია	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი		6/150			43	107
8.	არ გააჩნია	განათლების სამართალი		6/150			48	102
9.	არ გააჩნია	სამშენებლო სამართალი			6/150		43	107
10.	არ გააჩნია	გარემოს დაცვის სამართალი			6/150		48	102
11.	არ გააჩნია	ენერგეტიკის სამართალი			6/150		43	107
12.	არ გააჩნია	პრივატიზების სამართალი			3/75		20	55
13.	არ გააჩნია	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი		6/150			43	107
14.	არ გააჩნია	პოლიტიკური პარტიების სამართალი	6/150				43	107
15.	არ გააჩნია	საკონსტიტუციო რეფორმები და კონსტიტუციის ევოლუცია საქართველოში		6/150			43	107
16.	არ გააჩნია	სახელმწიფო შესყიდვების სამართალი	6/150				43	107
17.	არ გააჩნია	საპოლიციო სამართალი		6/150			43	107
18.	არ გააჩნია	საპარლამენტო სამართალი			6/150		43	107
19.	არ გააჩნია	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ევროპის კავშირში	6/150				38	112
20.	არ გააჩნია	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება		6/150			28	122
სამართლის მეთოდები								
1.	არ გააჩნია	თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები			6/150		35	115
2.	არ გააჩნია	ეკლესია და სახელმწიფო			6/150		30	120
პრაქტიკული კომპონენტი				**6**	**18**			
სავალდებულო კურსები								
1.	არ გააჩნია	პროფესიული ეთიკა		6/150			40	110
2.	პროფესიული ეთიკა*/არ გააჩნია	იურიდიული კლინიკა/აღსრულების სამართლის კლინიკა/ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა/შრომის სამართლის პრაქტიკული კლინიკა			12		276/46/47/39/40/40	24/254/253/261/260/260
კვლევითი კომპონენტი						**30**		

* პროფესიული ეთიკა სავალდებულო წინაპირობაა მხოლოდ იურიდიული კლინიკისთვის. სხვა კლინიკებს წინაპირობა არ გააჩნიათ.

1.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	სამაგისტრო ნაშრომი				30/750	8	742
			სემესტრში	30	30	30	30	
			წელიწადში	60		60		
			სულ	120				

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	სწავლის შედეგები
პროგრამის მიზანია **სტუდენტს** თანამედროვე სამართლის სისტემური და შედარებითსამართლებრივი არგუმენტაციის ჭრილში, შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში და გამოუმუშავოს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.	A. **სტუდენტი** ახდენს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში მიღებული ცოდნის საფუძველზე არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და რთული შემთხვევების კომპლექსურ შეფასებას, ფორმულირებას და თანამედროვე სამართლებრივი აზროვნების სისტემის არგუმენტაციის ჭრილში, განმარტების კლასიკური და არასტანდარტული მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის საუკეთესო გზებს
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშავოს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბების უნარი	B. **სტუდენტი** აანალიზებს ეროვნულ, საერთაშორისო და სხვა სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნოვაციებს, თანამედროვე სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი სამართლის პრობლემატიკას, ევროპული სამართლის სისტემურ გავლენას ქართულ სამართალზე, ასევე მეცნიერულ სიახლეებს და თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზის საფუძველზე აყალიბებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს.
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშავოს** აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების გაზიარების უნარი	C. **სტუდენტი** მსჯელობს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი სამართლებრივი დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტების გათვალისწინებით, წერილობითი და ზეპირი ფორმით.
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშავოს** კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და სამეცნიერო კვლევის უნარი	D. **სტუდენტი** ახდენს პირველადი წყაროების, სამეცნიერო სტატიებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების განზოგადებული ანალიზითა და ინტერპრეტირებით სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვას, აგროვებს პირველად მონაცემებს შესაბამისი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, ამოიცნობს სამეცნიერო კვლევის შესრულებისთვის საჭირო სამართლებრივ კვლევის მეთოდებს, შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს.
პროგრამის მიზანია **სტუდენტს გამოუმუშავოს** სამართლებრივ-ეთიკური ღირებულებების ფორმირების უნარი.	E. **სტუდენტი** აანალიზებს იურიდიული პროფესიების ეთიკურ, ზნეობრივ და მორალურ ასპექტებს, სამეცნიერო კვლევების ეთიკურ შედეგებს და, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყო-ფად წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების ფორმირებაში.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

№	მოდული/საგანი	კურსის სტატუსი		პროგრამის სწავლის შედეგები				
				(A)	(B)	(C)	(D)	(E)
1.	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში	D	P	D/P	D/P	D/P	D/P	D/P
2.	შედარებითი სამართალი	D		D	D	D		
3.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	D	P	D/P	D/P	D/P	D/P	D/P
4.	უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმები	P	M	P/M		P/M	P/M	P/M
5.	პროფესიული ეთიკა	D				D		D
6.	იურიდიული კლინიკა/აღსრულების სამართლის კლინიკა/ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა/შრომის სამართლის პრაქტიკული კლინიკა	P	M	P/M	P/M	P/M		P/M
7.	სამაგისტრო ნაშრომი	M		M	M	M	M	M

I – შესავალი კურსები (Introduction)	D - განმავითარებელი კურსები (Developing)	P - პრაქტიკული კურსები (Practical)	M- დაოსტატების კურსები (Master)

პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების - კომპეტენციების რუკა

№	მოდული/საგანი	კომპეტენციები		
		ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	ღირებულებები
	სასწავლო კომპონენტი			
	სავალდებულო სასწავლო კურსები			
1.	რთული შემთხვევების კვალიფიკაცია სასამართლო პრაქტიკაში	X	X	X
2.	შედარებითი სამართალი	X	X	
3.	აკადემიური წერა და კვლევის მეთოდები	X	X	X
4.	უფლების დაცვის საპროცესო მექანიზმები	X	X	X
	მოდული – თანამედროვე კერძო სამართალი			
1.	ევროკავშირის კონკურენციის სამართალი	X	X	
2.	სამოქალაქო საპროცესო სამართალი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	X	X	X
3.	საბანკო სამართალი: საბანკო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა	X	X	
4.	სადაზღვევო სამართალი: სადაზღვევო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა	X	X	
5.	ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო სამართალი	X	X	
6.	საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართალი	X	X	
7.	კონკურენციის სამართალი	X	X	
8.	მოთხოვნისა და სარჩელის უზრუნველყოფის სამართალი	X	X	
9.	შედარებითი საარბიტრაჟო სამართალი და მედიაცია	X	X	
10.	მტკიცების პროცესი სამოქალაქო სამართალში	X	X	X
11.	ევროკავშირის კერძო სამართალი	X	X	
12.	კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის სამართალი	X	X	
13.	მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი	X	X	
14.	საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი	X	X	

15.	პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა	X	X	
16.	საერთაშორისო კონკურენციის სამართალი (ინგლისურ ენაზე)	X	X	
17.	სამართლებრივი კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	X	X	
18.	შედარებით საკორპორაციო სამართალი	X	X	
19.	რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების სამართალი	X	X	
20.	შედარებითი შრომის სამართალი	X	X	
21.	კაპიტალური საზოგადოებები: სამართლებრივ დოკუმენტთა წარმოება და სასამართლო პრაქტიკა	X	X	
22.	სპორტის სამართალი	X	X	
23.	მედიცინის სამართალი	X	X	
	მოდული – თანამედროვე სისხლის სამართალი			
1.	მოძღვრება დანაშაულზე	X	X	
2.	დანაშაული და მედია	X	X	
3.	სისხლის სამართლის პროცესი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	X	X	X
4.	სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობა, განრიდება და მედიაცია	X	X	X
5.	დანაშაულობის პრევენციის თანამედროვე მოდელები	X	X	
6.	სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთება	X	X	X
7.	შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი	X	X	
8.	ორგანიზებული დანაშაული: სამართალშეფარდების პრობლემები	X	X	
9.	დაცვის ხელოვნება	X	X	X
10.	მტკიცებითი სამართალი	X	X	X
11.	ადამიანის ძირითადი უფლებები სისხლის სამართლის პროცესში ევროსასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით	X	X	
12.	სასჯელის შეფარდება	X	X	
13.	კიბერდანაშაულის კვალიფიკაციისა და გამოძიების სპეციფიკა	X	X	
14.	შედარებითი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	X	X	
15.	საგამოძიებო სამართალი	X	X	
16.	სქესობრივი დანაშაული	X	X	X
17.	კრიმინალიზაციის პროცესი და აღდგენითი მართლმსაჯულება	X	X	
18.	ფინანსური დანაშაულის გამოძიების მეთოდიკა	X	X	
	მოდული – თანამედროვე საჯარო სამართალი			
1.	შედარებითი კონსტიტუციონალიზმი	X	X	

2.	ადმინისტრაციული პროცესი და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	X	X	X
3.	ჯანმრთელობის დაცვის სამართალი	X	X	
4.	საგადასახადო სამართალი და სასამართლო პრაქტიკიკის ანალიზი	X	X	
5.	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	X	X	
6.	სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა, ტერიტორიული კონფლიქტები და საქართველო	X	X	
7.	საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი	X	X	
8.	განათლების სამართალი	X	X	
9.	სამშენებლო სამართალი	X	X	
10.	გარემოს დაცვის სამართალი	X	X	
11.	ენერგეტიკის სამართალი	X	X	
12.	პრივატიზების სამართალი	X	X	X
13.	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი	X	X	
14.	პოლიტიკური პარტიების სამართალი	X	X	
15.	საკონსტიტუციო რეფორმები და კონსტიტუციის ევოლუცია საქართველოში	X	X	
16.	სახელმწიფო შესყიდვების სამართალი	X	X	
17.	საპოლიციო სამართალი	X	X	
18.	საპარლამენტო სამართალი	X	X	
19.	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ევროპის კავშირში	X	X	
20.	ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოება	X	X	
	სამართლის მეთოდები			
1.	თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები	X	X	X
2.	ეკლესია და სახელმწიფო	X	X	
	პრაქტიკული კომპონენტი			
	სავალდებულო კურსები			
1.	პროფესიული ეთიკა	X	X	X
2.	იურიდიული კლინიკა/აღსრულების სამართლის კლინიკა/ადამიანის უფლებების სამართლის კლინიკა/სისხლის სამართლის პროცესის პრაქტიკული კლინიკა/ შრომის სამართლის პრაქტიკული კლინიკა	X	X	X